ტესტი სტუდენტების საგრანტო კონკურსისათვის

2015

ინსტრუქცია

ტესტი შედგება სამი ნაწილისგან:

I. წაკითხულის გააზრება (ორი ტექსტი, 21 დავალება),
II. ლოგიკური მსჯელობა (14 დავალება),
III. რაოდენობრივი მსჯელობა (7 დავალება).

ტესტის ყოველ დავალებას ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1, 0 ან - 0,2 ქულით.

სწორი პასუხის გაცემისთვის იწერება 1 ქულა.
თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
არასწორი პასუხისთვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება - 0,2 ქულა).

თქვენ დაგირიგდათ ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი.

ტესტურ დავალებათა რვეულში დატოვებული ცარიელი ადგილი შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი შეხედულებისამებრ. გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.



პასუხები უნდა მონიშნოთ პასუხების ფურცელში ისე, როგორც ეს შემდეგ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა. ამის შემდეგ შეგიძლიათ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მე-3 დავალებისთვის არის ნაჩვენები, ან დატოვოთ დანარჩენი უჯრები ცარიელი, როგორც ეს მე-4 დავალებისთვის არის ნაჩვენები (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით). პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.

ტესტის სამივე ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ <u>2 საათი და 30 წუთი</u>. ტესტის ნაწილების შესრულების თანამიმდევრობას არა აქვს მნიშვნელობა.

გისურვებთ წარმატებას !

წაკითხულის გააზრება

21 შეკითხვა

მოცემულია ორი ტექსტი: A (ნაწილი I, ნაწილი II) და B. თითოეულს თან ერთვის შეკითხვები სავარაუდო პასუხებით. გაიაზრეთ ეს ტექსტები და ყოველი შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია შესაბამისი ტექსტის მიხედვით.

ტექსტი A

ნაწილი I

I ყოველი დამწერლობის, განსაკუთრებით კი, ანბანური წერითი სისტემის შექმნის პირველ და აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს ენის ბგერითი სისტემის სეგმენტირება ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომლებიც შემდეგ გრაფიკული სიმბოლოების საშუალებით უნდა გამოისახოს. ამა თუ იმ ენისათვის ანბანური დამწერლობის შექმნა გულისხმობს ამ ენის ბგერით ერთეულთა ამომწურავი სისტემის წინასწარ მოცემულობას. ენის ბგერითი სისტემის ამ ანალიზზე დამოკიდებულია მის შესაბამისად შექმნილი დამწერლობის ხასიათი და ფუნქციური სრულყოფილების ხარისხი. ეს არის, არსებითად, ენის ბგერითი, ანუ ფონემური ანალიზი, რაშიც ვლინდება დამწერლობის შემქმნელის ლინგვისტური ალღო და ინტუიცია: იგი წინასწარ ანაწევრებს ენას უმცირეს ბგერით ერთეულებად, რომელთა ერთობლიობა ენის ბგერით სისტემას ქმნის. ამდენად, ყოველი წერითი სისტემა გულისხმობს წინასწარ ჩატარებულ საკმაოდ მაღალი დონის ფონემურ ანალიზს, და შესაბამისად, ყოველი დამწერლობა სათანადო ენის ლინგვისტური კვლევის პირველ ნიმუშს წარმოადგენს (შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ დამწერლობის შექმნა საზოგადოდ მეცნიერების, მეცნიერული კვლევის, დასაბამს უნდა გულისხმობდეს)...

II რომელიმე B ენისათვის დამწერლობის შექმნისას ამ ენის ბგერით ერთეულებს უთანადებენ ნიმუშად აღებული A ენის ბგერით სისტემას, რომელიც ანბანში წარმოდგენილია გარკვეული თანამიმდევრობით გაწყობილი და შესაბამისი გრაფიკული სიმბოლოებით გამოხატული ბგერების სახით. ნიმუშად აღებული A ენის ანბანის მიხედვით განლაგდება B ენის ფონეტიკურად მსგავსი ბგერები, რომელნიც სათანადო საკუთარ გრაფიკულ გამოსახულებას შეიძენენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე ხდება შესაბამისობის დადგენა B ენის ბგერებსა და ნიმუშად აღებული A ენის ბგერებს შორის, რომლებიც გარკვეული თანამიმდევრობით წარმოდგენილია ანბანთრიგში. ამგვარად, შესადარებელი A

ენის, ანუ პროტოტიპური დამწერლობის, პარადიგმატიკა ,,გადაისახება” B ენის ახლად შექმნილი დამწერლობის პარადიგმატიკაში; ე.ი. ეს უკანასკნელი განისაზღვრება ნიმუშად აღებული ენის წერითი სისტემის პარადიგმატიკით.

III

სხვადასხვა წერით სისტემათა საწყის ნიმუშად, პროტოტიპად, აღება სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს ახლად შექმნილი ანბანური დამწერლობის ,,ძირითად” და ,,დამატებით” ნაწილებს. რომელიმე B ენის ანბანისათვის მისი პროტოტიპი A ენის ბგერების ფონეტიკურად მსგავს ბგერათა სიმბოლოები ,,ძირითადი” ნაწილია. თუ B ენაში აღმოჩნდა უფრო დიდი რაოდენობა ბგერითი ერთეულებისა, ვიდრე პროტოტიპურ A ენაშია, მაშინ B ენის დამწერლობისათვის საჭირო იქნება მეტი გრაფიკული სიმბოლოს შექმნა სათანადო ,,დამატებითი” ბგერების გამოსახატავად. პირუკუ ვითარების შემთხვევაში, ე. ი. თუ ნიმუშად აღებული A ენის ბგერათა რაოდენობა აღემატება B ენის ბგერათრაოდენობას, რომლისთვისაც იქმნება ანბანი, პროტოტიპურ დამწერლობაში რჩება მთელი რიგი ,,ჭარბი” სიმბოლოები, რომელნიც აქ, B ენის თვალსაზრისით, ზედმეტ ბგერით ერთეულებს გამოხატავენ. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთი ენის ბგერათა ერთობლიობა მთლიანად ფარავს მეორე ენის ბგერათა სიმრავლეს. ჩვეულებრივ, შესადარებელ ენებში, გარდა ფონეტიკურად მსგავსი ბგერებისა, არსებობს ბგერათა რაღაც ჯგუფი, რომელიც სპეციფიკურია თითოეული ენისათვის. ასეთ შემთხვევაში ნიმუშად აღებული ანბანის პარადიგმატიკაში ხდება სათანადო ნიშნების ბგერათმნიშვნელობათა შენაცვლება მოცემული ენისათვის სპეციფიკური ბგერათმნიშვნელობებით, როგორც წესი, იმ ადგილების შენარჩუნებით, რომლებიც სათანადო ნიშნებს პროტოტიპურ ანბანში ჰქონდა.

IV

ფონეტიკურ მნიშვნელობათა შენაცვლებები საწყისი სისტემის გარკვეულ სიმბოლოებთან, და არა სიმბოლოთა ამოღება სისტემიდან, ნაკარნახევია ახლად შექმნილ ანბანთსისტემაში პროტოტიპური სისტემის პარადიგმატიკის მაქსიმალური შენარჩუნების სურვილით, რადგანაც მასზე არსებითად დამოკიდებულია ახალი სისტემის რიცხვით მნიშვნელობათა ადეკვატურობა საწყისი სისტემის რიცხვით მნიშვნელობებთან. (ჯერ კიდევ XVIII საუკუნემდე, ტრადიციისამებრ, რიცხვების ჩასაწერად ანბანის ასოებს ხმარობდნენ როგორც ბერძნულში, სომხურში, კირილიცაში, ისე ქართულშიც. მაგალითად, ქართული ასოებით 1852 ამგვარად ჩაიწერება: ჩ ყ ნ ბ).

შეკითხვებს 1- 6 უპასუხეთ ტექსტის ამ ნაწილის მიხედვით:

1. ტექსტის ამ ნაწილის მიხედვით, ავტორის <u>ძირითადი</u> მიზანია, წარმოაჩინოს

(ა) პროტოტიპური ანბანური სისტემის რიცხვით მნიშვნელობათა გათვალისწინების აუცილებლობა.

(ბ) ენის წერითი სისტემის ხასიათის, მისი ფუნქციური სრულყოფილების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორები.

(გ) დამწერლობის შექმნისას ენის წერით სისტემაში დამატებითი გრაფიკული სიმბოლოების საჭიროების გაჩენის მიზეზები.

(დ) პროტოტიპური ანბანთსისტემის პარადიგმატიკასა და მის ნიმუშზე შექმნილ წერით სისტემას შორის შესაძლო მიმართებები.

(ე) ნიმუშად აღებული ანბანთრიგის გარკვეულ სიმბოლოებთან შესაქმნელი ანბანისთვის სპეციფიკურ ბგერათმნიშვნელობათა შენაცვლების ფაქტი.

2. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული ტექსტის ამ ნაწილის მიხედვით?

i. რომელიმე B ენის დამწერლობის შემქმნელი ნიმუშად აღებული A ენის ანბანის გრაფიკული სიმბოლოების მსგავსად გამოსახავს B ენის ბგერათა გრაფიკულ სიმბოლოებს.
ii. დამწერლობის შემქმნელის ლინგვისტური ალღო ენის სრულყოფილი ფონემური ანალიზის უნარსა და ბგერითი სისტემის წვდომაში ვლინდება.
iii. იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ენის ბგერითი ერთეულების ერთობლიობა სავსებით ემთხვევა მეორე ენის ბგერათა ერთობლიობას.

(ა) მხოლოდ i

(ბ) მხოლოდ ii

(გ) მხოლოდ iii

(დ) მხოლოდ i და ii

(ე) მხოლოდ ii და iii

3. რას უწოდა ავტორმა „ჭარბი” სიმბოლოები?

(ა) დამატებითი ბგერების გამოსახატავად შექმნილ სიმბოლოებს, როცა B ენაში, რომლისთვისაც იქმნება დამწერლობა, აღმოჩნდება მეტი რაოდენობა ბგერებისა, ვიდრე შესადარებელ A ენაშია.

(ბ) იმ ჩანაცვლებულ სიმბოლოებს, როდესაც ნიმუშად აღებული A ენის ანბანის პარადიგმატიკაში ხდება სათანადო ნიშნების ბგერათმნიშვნელობათა შენაცვლება B ენისათვის სპეციფიკურ ბგერათა მნიშვნელობებით.

(გ) ახლად შექმნილი ანბანური დამწერლობის ძირითადი ნაწილის სიმბოლოებს, როდესაც მათი რაოდენობა ბევრად აღემატება ე.წ. დამატებითი ნაწილის გრაფიკული ნიშნების რაოდენობას.

(დ) პროტოტიპურ დამწერლობაში დარჩენილ სიმბოლოებს, როდესაც ნიმუშად აღებული A ენის ბგერათა რაოდენობა აღემატება იმ B ენის ბგერათრაოდენობას, რომლისთვისაც ანბანი იქმნება.

(ე) გრაფიკულ სიმბოლოთა ერთობლიობას ნიმუშად აღებული იმგვარი ენისა, რომლის ბგერათა ერთობლიობა მთლიანად ფარავს იმ ენის ბგერების რაოდენობას, რომლისთვისაც დამწერლობა იქმნება.

4. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება <u>არ</u> არის მართებული ტექსტის ამ ნაწილის მიხედვით?

(ა) ყოველი წერითი სისტემის შექმნა განხორციელებულია შესაბამისი ენის ბგერით სისტემაში წინასწარ ჩატარებული ლინგვისტური ანალიზის შედეგად.

(ბ) წერითი სისტემის შემქმნელის მიერ ენის ბგერითი სისტემის გაანალიზების უნარზე დამოკიდებულია ახლად შექმნილი დამწერლობის ფუნქციური სრულყოფილების ხარისხიც.

(გ) ანბანური წერითი სისტემის შექმნის დამასრულებელ ფაზას წარმოადგენს დამწერლობის შემქმნელის მიერ ენის ფონემური სისტემის სეგმენტირება ცალკეულ ერთეულებად.

(დ) ამა თუ იმ ენისათვის ანბანური ტიპის დამწერლობის შექმნის პროცესი ეყრდნობა ამავე ენის ბგერით ერთეულთა სრული, ამომწურავი სისტემის მოცემულობას.

(ე) შესაბამისობის დადგენის მიზნით, შესაძლებელია შესადარებელი A ენის პროტოტიპური დამწერლობის მოდელის გადასახვა B ენის ახლად შექმნილი დამწერლობის პარადიგმატიკაში.

5. ტექსტის მიხედვით: ნიმუშად აღებული A ენის ანბანის პარადიგმატიკაში მისთვის სპეციფიკურ ბგერათმნიშვნელობათა სათანადო ნიშნების შენაცვლება B ენისათვის სპეციფიკურ ბგერათმნიშვნელობათა სიმბოლოებით ხდება იმ ადგილების შენარჩუნებით, რომლებიც სათანადო ნიშნებს პროტოტიპურ ანბანში ჰქონდა.

რა არის ამის მიზეზი?

i. დამწერლობის შემქმნელზე საწყისი სისტემის ანბანთრიგის ქვეცნობიერი ზეგავლენა და ამით განპირობებული მიდრეკილება პროტოტიპური სისტემის პარადიგმატიკის შენარჩუნებისაკენ.

ii. დამწერლობის შემქმნელის მიერ საწყისი წერითი სისტემის რიცხვით მნიშვნელობებთან ახლად შექმნილი სისტემის რიცხვით მნიშვნელობათა შესაბამისობის მაქსიმალურად დაცვა.

iii. შემქმნელის მცდელობა, იმ ენის დამატებითი ბგერითი ერთეულების რაოდენობა, რომლისთვისაც იქმნება დამწერლობა, მაქსიმალური სიზუსტით გაუთანაბროს ნიმუშად აღებული ენისთვის სპეციფიკურ ბგერათა რაოდენობას.

(ა) მხოლოდ i

(ბ) მხოლოდ ii

(გ) მხოლოდ iii

(დ) მხოლოდ i და ii

(ე) მხოლოდ ii და iii

6. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს მართებულად ტექსტის ამ ნაწილის II და III აბზაცებს შორის მიმართებას?

III აბზაცში

(ა) ეჭვის ქვეშ დაყენებულია II აბზაცში წარმოდგენილი მოსაზრება ახლად შექმნილ ანბანურ დამწერლობაში ,,ძირითადი" და ,,დამატებითი" ნაწილების არსებობის შესახებ.

(ბ) წარმოდგენილია მაგალითები სხვადასხვა ანბანში ბგერების სხვადასხვაგვარად გაწყობისა და გრაფიკული სიმბოლოებით გამოხატვის შესახებ II აბზაცში აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად.

(გ) განვრცობილია II აბზაცში გამოთქმული აზრი, რომ ახლად შექმნილი დამწერლობის პარადიგმატიკა სანიმუშოდ აღებული ენის წერითი სისტემის პარადიგმატიკით განისაზღვრება.

(დ) კრიტიკულად განხილულია II აბზაცში წარმოდგენილი თვალსაზრისი, რომ B ენის ბგერებსა და ნიმუშად აღებული A ენის ბგერებს შორის შესაბამისობის დადგენა ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე ხდება.

(ე) შეფასებულია II აბზაცში აღნიშნული მოვლენის – საწყისი სისტემის გარკვეულ სიმბოლოებთან ახლად შექმნილი ანბანთსისტემის ფონეტიკურ მნიშვნელობათა შენაცვლების – მიზეზი.

ტექსტი A

ნაწილი II

I საინტერესოა, რომელი წერითი სისტემა აქვს აღებული ქართული დამწერლობის შემქმნელს ნიმუშად? ამ თვალსაზრისით ქართული ანბანის შესაძლებელ პროტოტიპად წარმოგვიდგება პირველ რიგში ძველი სემიტური დამწერლობა ან მისგან წარმომდგარი რომელიმე სემიტური წერითი სისტემა (ჯავახიშვილი, პატარიძე), ან ბერძნული ანბანური დამწერლობა (ბაქრაძე, კეკელიძე).

II ორივე შემთხვევაში, ე. ი. ქართული დამწერლობის სემიტური თუ ბერძნული წერითი სისტემისაგან წარმომავლობის დაშვებით, ერთი რამ წინასწარ ცხადია: როგორც სემიტურ, ისე ბერძნულ სისტემასთან შედარებით, ქართული ბგერითი სისტემა ხასიათდება ბგერათა, კერძოდ, თანხმოვან ფონემათა უფრო დიდი რაოდენობით. მაშასადამე, ორივე ამ სისტემასთან შეფარდებისას ქართულში დარჩება ერთი ჯგუფი თანხმოვნებისა, რომლებსაც არ გააჩნია ფონეტიკური ეკვივალენტები შესადარებელ სისტემაში.

III სხვადასხვა დამწერლობათა საწყის ნიმუშად ან წერით მოდელად აღება სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს ახლად შექმნილი დამწერლობის ,,ძირითად" და ,,დანართ" (დამატებით) ნაწილებს. ამ თვალსაზრისით სემიტური და ბერძნული დამწერლობის შეფარდება ძველ ქართულ ანბანურ დამწერლობასთან გამორიცხავს ამ უკანასკნელის მომდინარეობას სემიტური წერითი სისტემისაგან და ავლენს მის გენეტიკურ კავშირს ბერძნულ დამწერლობასთან.

IV ქართული ანბანის წარმომავლობა სემიტურისაგან ნაკლებ სავარაუდოა უკვე იმის გამო, რომ ძველი სემიტური წერითი სისტემა (და მისგან წარმომდგარი სხვა სემიტური დამწერლობანი) ნარევი ,,კონსონანტურ-სილაბური" ტიპის დამწერლობაა, მაშინ როდესაც ქართულ დამწერლობაში მკაცრად და თანამიმდევრულადაა გატარებული წერის ,,ანბანური პრინციპი", რაც დამწერლობათა ისტორიაში პირველად ბერძნულ წერით სისტემაში განხორციელდა ძველი სემიტური სისტემის სათანადო სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად. ამავე დროს, ქართული ანბანის შექმნისას წერით ნიმუშად სემიტური სისტემის აღების შემთხვევაში, ქართულ ანბანს სულ სხვა წყობა და სტრუქტურა ექნებოდა, ანბანის ,,ძირითადი" და ,,დამატებითი" ნაწილები სულ სხვაგვარი შედგენილობისა იქნებოდა, ვიდრე ეს ძველ ქართულ დამწერლობაშია დადასტურებული.

V ამგვარად, ძველი ქართული ანბანის შეპირისპირება ძველ სემიტურ სისტემასა და ბერძნულ დამწერლობასთან ავლენს ქართული სისტემის სემიტურისაგან განსხვავებულ წყობას და ქართული ბგერების ანბანთრიგში განაწილებას ფონეტიკურად მსგავსი ბერძნული ბგერების ანბანური წყობის მიხედვით. გარდა ამისა, ყველა ის სპეციფიკური, საკუთრივ ბერძნულისათვის

დამახასიათებელი სტრუქტურული ნიშანი, წარმოქმნილი ბერძნულ ანბანში მისი შექმნისას სემიტურისაგან და აგრეთვე მისი შემდგომი განვითარების პროცესში, სრულად ასახულია ქართულ ანბანში, რაც ნათლად მოწმობს ძველი ქართული დამწერლობის ბერძნული (და არა უშუალოდ სემიტური) სისტემისაგან წარმომავლობას.

შეკითხვებს 7–10 უპასუხეთ ტექსტის II ნაწილის მიხედვით:

7. ავტორი იზიარებს ჩამოთვლილთაგან ყველა მოსაზრებას, გარდა ამ ერთისა –

(ა) ქართული ანბანის შესაძლებელ პროტოტიპად განიხილება ძველი სემიტური თუ მისგან წარმომდგარი რომელიმე სემიტური წერითი სისტემა ან ბერძნული დამწერლობა.

(ბ) სემიტურ და ბერძნულ სისტემებთან შეფარდებისას ქართულში დარჩება ერთი ჯგუფი ბგერებისა, რომლებსაც ფონეტიკური ეკვივალენტები არ მოეპოვება შესადარებელ სისტემაში.

(გ) ახლად შექმნილი დამწერლობის ე.წ. დანართ ნაწილს სხვადასხვა დამწერლობათა საწყის ნიმუშად აღება სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს.

(დ) საკუთრივ ბერძნული ანბანისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული ნიშნები წარმოქმნილია მისი შექმნისას სემიტურისაგან და, ასევე, შემდგომი განვითარების პროცესში.

(ე) ძველი სემიტური წერითი სისტემისაგან განსხვავებით, მისგან წარმომდგარი სხვა სემიტური დამწერლობანი ნარევი ,,კონსონანტურ-სილაბური" ტიპისაა.

8. ტექსტიდან გამომდინარე, ქართულ დამწერლობას ძველი სემიტური და ბერძნული დამწერლობებისაგან ერთნაირად განასხვავებს

(ა) თანხმოვან ფონემათა შესაბამისი სიმბოლოების სიჭარბე.

(ბ) ხმოვან ბგერათა გრაფიკული ნიშნების დიდი რაოდენობა.

(გ) დამწერლობის ე. წ. ნარევი ტიპი.

(დ) წერის ე. წ. ანბანური სისტემა.

(ე) ანბანთრიგის წყობის სპეციფიკური მოდელი.

9. ტექსტის მიხედვით, წერის „ანბანური პრინციპი”

(ა) ადასტურებს ბერძნული წერითი სისტემის გენეტიკურ კავშირს ძველ სემიტურ დამწერლობასთან.

(ბ) თანაბრად განაპირობებს ქართული დამწერლობის სემიტური ან ბერძნული წერითი სისტემისაგან წარმომავლობის დაშვებას.

(გ) ავლენს ქართული სისტემის ბერძნულისაგან თვისებრივად განსხვავებულ წყობას.

(დ) ბერძნულ წერით სისტემაში განხორციელდა ძველი სემიტური სისტემის სათანადო სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად.

(ე) ბერძნულისაგან განსხვავებით, მკაცრად და თანამიმდევრულადაა გატარებული ქართულ სისტემაში.

10. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტის ამ ნაწილის მიხედვით?

i. მკვლევართა ერთი ნაწილი იზიარებს თვალსაზრისს ძველი ქართული ანბანის უშუალოდ ბერძნული სისტემისაგან წარმომავლობის შესახებ.
ii. ქართულ ანბანში სრულად ასახულია ბერძნულისათვის დამახასიათებელი ყველა სტრუქტურული ნიშანი, წარმოქმნილი ბერძნულ ანბანში მისი შექმნისას სემიტურისაგან და, აგრეთვე, მისი შემდგომი განვითარების შედეგად.
iii. ბერძნული ენის ბგერითი სისტემის მის პროტოტიპთან, სემიტურთან, შედარებისას ბერძნულში დარჩება დიდი ჯგუფი ისეთი ბგერებისა, რომლებსაც შესადარებელ სისტემაში ფონეტიკური ეკვივალენტები არ მოეპოვება.

(ა) მხოლოდ i

(ბ) მხოლოდ iii

(გ) მხოლოდ i და ii

(დ) მხოლოდ ii და iii

(ე) i, ii, iii

შეკითხვებს 11–14 უპასუხეთ მთლიანი ტექსტის მიხედვით (გაითვალისწინეთ, რომ ტექსტის I და II ნაწილებს ერთი ავტორი ჰყავს):

11. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო ზუსტად და მართებულად ტექსტის I და II ნაწილებს შორის მიმართებას?

(ა) I ნაწილში წარმოდგენილი ძირითადი მოსაზრებები შეჯამებულია II ნაწილში.

(ბ) I ნაწილში გამოთქმული სხვადასხვა ვარაუდი მაგალითებით გამყარებულია II ნაწილში.

(გ) II ნაწილში თეორიული მსჯელობით გავრცობილია I ნაწილში მოკლედ განხილული ზოგიერთი საკითხი.

(დ) I ნაწილში წარმოდგენილი მოსაზრება და მისი კონკრეტული მაგალითები შეფასებულია II ნაწილში.

(ე) II ნაწილში გაანალიზებულია I ნაწილში განხილული თვალსაზრისის კერძო შემთხვევა.

12. ტექსტის II ნაწილის მიხედვით, ქართულს აქვს ერთი ჯგუფი ფონემებისა, რომლებსაც არ მოეპოვება ეკვივალენტები პროტოტიპურ სისტემაში. I ნაწილში წარმოდგენილ რომელ მსჯელობას/მსჯელობებს შეესაბამება ეს მაგალითი?

i. თუ B ენაში უფრო დიდი რაოდენობაა ბგერითი ერთეულებისა, ვიდრე A ენაშია, მაშინ B ენას მეტი გრაფიკული სიმბოლო დასჭირდება სათანადო დამატებითი ბგერების გამოსახატავად.

ii. თუ A ენის ბგერათა რაოდენობა აღემატება B ენის ბგერათრაოდენობას, მაშინ A ენის დამწერლობაში აღმოჩნდება B ენის თვალსაზრისით ზედმეტი ბგერითი ერთეულები.

iii. A ენის ანბანის მიხედვით განლაგდება B ენის ფონეტიკურად მსგავსი ბგერები, რომლებიც გრაფიკული სიმბოლოების საშუალებით უნდა გამოისახოს.

(ა) მხოლოდ i

(ბ) მხოლოდ ii

(გ) მხოლოდ iii

(დ) მხოლოდ i და ii

(ე) მხოლოდ ii და iii

13. ჩამოთვლილთაგან რომელ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას ავტორი როგორც I, ისე II ნაწილში?

(ა) დამწერლობის შემქმნელი წინასწარ ანაწევრებს ენას უმცირეს ბგერით ერთეულებად.

(ბ) სხვადასხვა დამწერლობათა საწყის ნიმუშად აღება სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს ახლად შექმნილი დამწერლობის სტრუქტურას.

(გ) ყოველი დამწერლობა მისი სათანადო ენის ლინგვისტური კვლევის პირველ ნიმუშს წარმოადგენს.

(დ) პროტოტიპური სისტემის პარადიგმატიკის შენარჩუნება განაპირობებს ახლად შექმნილი და საწყისი სისტემების რიცხვით მნიშვნელობათა შესაბამისობას.

(ე) ჩვეულებრივ, ორივე (A და B) შესადარებელ ენაში არსებობს ბგერათა ისეთი ჯგუფი, რომელიც სპეციფიკურია თითოეული ენისათვის.

14. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამომდინარეობს მთლიანი ტექსტიდან?

(ა) A ენის პარადიგმატიკის B ენის პარადიგმატიკაში „გადასახვის“ მეთოდის გამოყენება გამოავლენს ძველი ქართული ანბანის სემიტური სისტემისაგან განსხვავებულ წყობას.

(ბ) ავტორი ასახელებს ქართული ანბანის შესაძლებელ პროტოტიპად წარმოდგენილ ვერსიებს და მათგან განსხვავებულ საკუთარ ვერსიას გვაცნობს.

(გ) მკვლევართა ნაწილი ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევს ბერძნული დამწერლობის მომდინარეობას სემიტური წერითი სისტემისაგან.

(დ) შემთხვევა, როდესაც ერთი ენის ბგერათა ერთობლიობა ფარავს მეორე ენის ბგერათა სიმრავლეს, შესაძლებელია კონსონანტურ-სილაბური ტიპის წერითი სისტემის ენებში, და არა – ანბანურში.

(ე) დამწერლობის სხვადასხვა ტიპს შორის ავტორი კონსონანტურ-სილაბურ წერით სისტემას უპირატესობას ანიჭებს.

ტექსტი B

თავის ერთ-ერთ ესეიში **მარიო ვარგას ლიოსა** წერს:

I ცნება ,,კულტურული იდენტობა," თავისთავად, არცთუ უხიფათოა... რა შეიძლება მივიჩნიოთ ლათინური ამერიკის იდენტობად, მის თვითმყოფადობად? რა შედის იმ ადათ-წესების, მითების, რწმენების, პრაქტიკისა და ტრადიციების ერთობლიობაში, რაც ამ რეგიონს ანიჭებს ერთიანსა და განუმეორებელ ,,ხასიათს"? ამ კითხვებზე პასუხის კვლევა-ძიებას უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. ყველაზე ცნობილი კი ის დავა-კამათია, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გაიმართა: ,,ესპანისტები" და ,,ინდიჯენისტები" (ადგილობრივი თვითმყოფადობის მომხრეები) ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ეს დავა მთელს კონტინენტს ექოდ მოედო.

II ესპანისტების, მაგალითად, **აგუერას, ბელაუნდეს, კალდერონის** აზრით, ლათინური ამერიკა მაშინ დაიბადა, როცა ახალი კონტინენტის აღმოჩენისა და კონკისტას მეშვეობით მიუერთდა ესპანურსა და პორტუგალიურ ენობრივ სამყაროს და, ქრისტიანობის მიღებით, დასავლური ცივილიზაციის ნაწილად იქცა. ესპანისტები არ ცდილობენ, დაამცირონ პრე-ესპანური კულტურა, მაგრამ მას მხოლოდ იმ სოციალური და ისტორიული რეალობის ერთ-ერთ (თანაც არა პირველად) შრედ მიიჩნევენ, რომელმაც საკუთარი სახე საბოლოოდ მხოლოდ დასავლეთის მაცოცხლებელი გავლენის შედეგად შეიძინა.

III მეორე მხრივ, ,,ინდიჯენისტები" აღშფოთებით უარყოფენ მოსაზრებას ლათინურ ამერიკაზე ევროპელთა კეთილისმყოფელი ზეგავლენის თაობაზე. მათთვის ჩვენი იდენტობა თავის სულსა და თავის ფესვებს ესპანელებამდელ კულტურებსა და ცივილიზაციებში პოულობს, რომელთა განვითარება და მოდერნიზაცია უხეშად და ძალადობრივად იქნა შეწყვეტილი, თვითმყოფადობა კი – სრულიად მიჩუმათებული და შევიწროებული არა მარტო კოლონიალური ეპოქის სამი საუკუნის განმავლობაში, არამედ მერეც, რესპუბლიკური წყობის დამკვიდრების შემდგომაც. ამ თეორიის ფუძემდებელთა აზრით, ,,ჩვენი კონტინენტის ჭეშმარიტ სახეს" ის კულტურული გამოვლინებანი – აბორიგენ ხალხთა ენები, რწმენები, რიტუალები, ადათ-წესები – ქმნიან, რამაც დასავლეთის მხრიდან ,,კულტურულ ჩაგვრას" გაუძლო და დღევანდელობამდე მოაღწია. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ლათინურამერიკელი მწერალი – **ხოსე მარია არგედასი** – თავის ნაწარმოებში, რომელიც აღსავსეა მწვავე ზნეობრივი პროტესტით, მოგვითხრობს, თუ როგორ შეძლო კეჩუას ინდიელების კულტურამ გადარჩენა ანდებში, დასავლეთის სულისშემხუთველი და დამასახიჩრებელი ზემოქმედების მიუხედავად.

IV ამ ორმა განსხვავებულმა მიმდინარეობამ დაბადა სხვადასხვა ხასიათის, ძალიან საინტერესო ისტორიული ნაშრომები, ასევე, მხატვრული ნაწარმოებები, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ორივე დოქტრინა პრიმიტიულად გამოიყურება. ორივე კონცეფცია ცდილობს, მდიდარი ლათინურამერიკული სინამდვილე ვიწრო იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოაქციოს და რასიზმისკენაც კი უბიძგოს. დღეს მკვლევართაგან ვერავინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ მხოლოდ ,,ესპანური" ან მხოლოდ ,,ინდიელების" მემკვიდრეობა წარმოადგენს ლეგიტიმურად ლათინურ ამერიკას. იგი მხოლოდ ერთი კი არა, მრავალგვარი კულტურული იდენტობისაგან შედგება და ცალკე არც ერთს არ აქვს უფლება, პრეტენზია განაცხადოს განსაკუთრებულ ლეგიტიმურობასა და ,,სიწმინდეზე".

V რასაკვირველია, ლათინური ამერიკა საკუთარ თავში მოიცავს ესპანელებამდელ სამყაროსა და კულტურას, რომელიც მექსიკაში, გვატემალასა და ანდების ქვეყნებში დღემდე მძლავრ სოციალურ ძალას წარმოადგენს; მაგრამ იგი, ასევე, ესპანურსა და პორტუგალიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხის დიდი სკაცაა, ხუთსაუკუნოვანი ტრადიციით, რომლის ზემოქმედებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა კონტინენტის დღევანდელი სახის ჩამოყალიბებაში. ამასთან, განა არ არის ლათინურ ამერიკაში აფრიკული ელემენტები?! აფრიკელები ხომ ჩვენს სანაპიროზე ევროპელებთან ერთად გამოჩნდნენ. აფრიკული ელემენტის არსებობამ განა არ დატოვა კვალი ჩვენი კანის ფერზე, მუსიკაზე, ტემპერამენტზე, საზოგადოებაზე? სწორედ ამ ფაქტის იგნორირებაც იგულისხმება რასიზმთან დაკავშირებით ზემოთ გამოთქმულ შენიშვნაში.

VI კულტურული, ეთნიკური და სოციალური ინგრედიენტები, რომელთაგანაც შედგება ლათინური ამერიკა, ჩვენ გვაკავშირებს მსოფლიოს ბევრ რეგიონთან და კულტურასთან. ეს რეალობა, მიუხედავად ნაციონალისტების აზრისა, არის ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე. ამას გარდა, ის მშვენიერი ,,პირადობის მოწმობაა," რომელიც საშუალებას გვაძლევს, თავი სრულყოფილ მოქალაქეებად ვიგრძნოთ ჩვენს გლობალიზებულ სამყაროში.

15. ტექსტიდან გამომდინარე, ავტორის <u>მთავარი</u> მიზანია,

(ა) წარმოაჩინოს, რომ ე. წ. ინდიჯენისტები, როგორც წესი, უარყოფენ მოსაზრებას ლათინურ ამერიკაზე, მის კულტურაზე, ევროპელთა კეთილისმყოფელი ზეგავლენის თაობაზე.

(ბ) გაგვაცნოს ლათინურ ამერიკაში აფრიკული ელემენტების არსებობის კვალი და არგუმენტირებულად გააკრიტიკოს ე. წ. ადგილობრივი თვითმყოფადობის მომხრეები.

(გ) აღწეროს და შეადაროს ერთმანეთს ლათინური ამერიკის კულტურული იდენტობის ორივე – როგორც პრე-ესპანური, ისე დასავლეთის გავლენის შედეგად მოდერნიზებული – შრე.

(დ) გამოკვეთოს ფაქტი, რომ ე. წ. კოლონიალურეპოქამდელი თვითმყოფადი კულტურა დღემდე მძლავრად არის წარმოჩენილი მექსიკაში, გვატემალასა და ანდების ქვეყნებში.

(ე) შეაფასოს ლათინური ამერიკის კულტურული იდენტობის კვლევის ისტორიაში გამოკვეთილი თვალსაზრისები და წარმოადგინოს ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება.

16. პერუელი ისტორიკოსი ლუის ვალკარსელი ამტკიცებდა, რომ: *კოლონიალური არქიტექტურის ძეგლები, ეკლესიები, მონასტრები უნდა განადგურდეს, რადგან ისინი „ანტი-პერუს“ განასახიერებენ და უარყოფენ მხოლოდ ადგილობრივი ფესვების მქონე, პირველქმნილ ლათინურამერიკულ იდენტობასო.*

შეაჯერეთ ეს ინფორმაცია ტექსტთან და განსაზღვრეთ: ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, სავარაუდოდ, რომელ მოსაზრებას გაიზიარებდა ისტორიკოსი ვალკარსელი?

i. ლათინური ამერიკის იდენტობა თავის ჭეშმარიტ სულს ესპანელებამდელ კულტურებსა და ცივილიზაციებში პოულობს.
ii. პრე-ესპანური კულტურა იმ სოციალურ-ისტორიული რეალობის მხოლოდ ერთ-ერთი და თან არა პირველადი შრეა, რომელმაც ლათინური ამერიკა დაბადა.
iii. ლათინური ამერიკის მრავალგვარ კულტურულ იდენტობათაგან არც ერთს არ აქვს უფლება, გამორჩეულ ლეგიტიმურობასა და ,,სიწმინდეზე” განაცხადოს პრეტენზია.
iv. ამ კონტინენტის – ლათინური ამერიკის – ნამდვილ სახეს აბორიგენ ხალხთა ენები, რწმენები, რიტუალები, ადათ-წესები ქმნიან.

(ა) მხოლოდ ii და iii-ს

(ბ) მხოლოდ iii-ს

(გ) მხოლოდ i და iv-ს

(დ) მხოლოდ iv-ს

(ე) მხოლოდ i, ii და iv-ს

17. ქვემოთ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი დასტურდება ტექსტის მიხედვით?

(ა) ლათინური ამერიკის კულტურული იდენტობის განმსაზღვრელმა საპირისპირო დოქტრინებმა დაბადა მათივე შესატყვისი მხატვრული ნაწარმოებებიც, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან პრიმიტიულად გამოიყურება.

(ბ) ლათინურ ამერიკაში ესპანურსა და პორტუგალიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხის არსებობას ხუთსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს და მათი როლი მნიშვნელოვანია კონტინენტის სახის ჩამოყალიბებაში.

(გ) ნაციონალისტების აზრით, კულტურულ-ეთნიკური და სოციალური ინგრედიენტები, რომელთაგანაც შედგება ლათინური ამერიკა, მას მსოფლიოს სხვა რეგიონებთან აკავშირებს, რაც ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრეა.

(დ) ცნობილი მწერალი – ხოსე მარია არგედასი – მიიჩნევს, რომ ლათინური ამერიკა სწორედ მაშინ დაიბადა, როცა იგი კონკისტას მეშვეობით მიუერთდა ესპანურსა და პორტუგალიურ ენობრივ სამყაროს.

(ე) ლათინური ამერიკის განვითარება ძალადობრივად შეფერხდა არა კოლონიალური ეპოქის სამი საუკუნის განმავლობაში, არამედ შემდგომ პერიოდში – რესპუბლიკური წყობის დამკვიდრებისას.

18. ტექსტიდან გამომდინარე, ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა სრულიად მიუღებელი ე. წ. ესპანისტებისათვის, მათი კონცეფციის გათვალისწინებით?

i. ლათინური ამერიკა, ქრისტიანობის მიღებით, დასავლური ცივილიზაციის ნაწილად იქცა.
ii. ლათინური ამერიკა პორტუგალიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ,,დიდი სკაც“ არის.
iii. ლათინური ამერიკა საკუთარ თავში მოიცავს ესპანელებამდელ სამყაროსა და კულტურასაც.
iv. ლათინური ამერიკის კულტურის საწყისიც და განმსაზღვრელიც კეჩუას ინდიელების ცივილიზაციაა.

(ა) მხოლოდ i და ii

(ბ) მხოლოდ ii

(გ) მხოლოდ iii

(დ) მხოლოდ iv

(ე) მხოლოდ iii და iv

19. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება <u>არ</u> გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) თვალსაზრისები, რომლებმაც XX საუკუნის დასაწყისის ლათინურ ამერიკაში ადგილობრივი თვითმყოფადობის მომხრეებისა და ე. წ. ესპანისტების გლობალური დაპირისპირება განაპირობა, დღეს ნაკლებად გაზიარებულია.

(ბ) აგუერას, ბელაუნდეს, კალდერონის აზრით, ანდებში დასავლეთის სულისშემხუთველი და დამასახიჩრებელი ზემოქმედება მწვავე ზნეობრივ პროტესტს იმსახურებს.

(გ) ავტორის მსჯელობის მიხედვით, აფრიკული ელემენტების გაუთვალისწინებლობა შეზღუდულად წარმოაჩენს ლათინური ამერიკის კონტინენტის პრაქტიკისა და ტრადიციების ერთობლიობას და, ამდენად, რასიზმის საფრთხესაც ქმნის.

(დ) ესპანისტებისაგან განსხვავებით, ინდიჯენისტებს მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ინდიელების მემკვიდრეობა წარმოადგენს ლეგიტიმურად ლათინურ ამერიკას.

(ე) ლათინურ ამერიკაში წარმოშობილმა ორმა განსხვავებულმა დოქტრინამ, მათი პრიმიტიულობის მიუხედავად, დაბადა ძალზე საინტერესო, სხვადასხვა ხასიათის ისტორიული ნაშრომები.

20. რა მიმართებაა ტექსტის IV და V აბზაცებს შორის?

(ა) IV აბზაცის მთავარი აზრი ავტორის მიერ კრიტიკულადაა შეფასებული V აბზაცში.

(ბ) IV აბზაცში წარმოდგენილია ორი განსხვავებული აზრი ერთსა და იმავე საკითხზე, ხოლო V აბზაცში განხილულია ამათგან ერთ-ერთის დამადასტურებელი არგუმენტები.

(გ) IV აბზაცში გადმოცემულია სხვადასხვა მკვლევართა შეხედულება, ხოლო V აბზაცში წარმოდგენილია ავტორისეული შეფასებები.

(დ) IV აბზაცში გამოთქმულია ვარაუდი, ხოლო V აბზაცში მოყვანილია მაგალითები, რომლებიც მის მართებულობას ადასტურებს.

(ე) V აბზაცი ავითარებს და განავრცობს IV აბზაცში ავტორის მიერ მოკლედ წარმოდგენილ მოსაზრებას.

21. ტექსტიდან გამომდინარე, რას შეიძლება გულისხმობდეს მარიო ვარგას ლიოსა, როდესაც ამბობს, – *ცნება „კულტურული იდენტობა“, თავისთავად, არცთუ უხიფათოა?*

ლიოსა გულისხმობს ამ ცნებით ოპერირების დროს გაჩენილ

(ა) პრეტენზიას იმაზე, რომ ერთი რომელიღაც ქვეყნის თვითმყოფადობა, სხვა რომელიმესთან შედარებით, უფრო ,,წმინდად" და ლეგიტიმურად შეფასდეს.

(ბ) პერსპექტივას იმისა, რომ გლობალიზებულ სამყაროში ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეები სრულყოფილად წარმოჩინდებიან.

(გ) საფრთხეს იმისა, რომ გლობალიზებულ სამყაროში რეგიონის აბორიგენი ხალხები ადათ-წესებსა და რიტუალებს ნებაყოფლობით მიივიწყებენ.

(დ) საშიშროებას იმისა, რომ ამა თუ იმ რეგიონის მდიდარი ისტორიული სინამდვილე ვიწრო იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოექცევა.

(ე) შესაძლებლობას იმისა, რომ ამა თუ იმ რეგიონის კულტურული, ეთნიკური და სოციალური ინგრედიენტები სრულად იქნება დადგენილი.

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

ამოცანა 22.

მოცემულია წინადადება:

- შეუძლებელია, რომ სოსომ ჩააბაროს გამოცდა, ხოლო ლალიმ ვერ ჩააბაროს.

რომელია მოცემული წინადადების **ტოლფასი**?

(ა) თუ სოსო ჩააბარებს გამოცდას, მაშინ ლალიც ჩააბარებს გამოცდას.

(ბ) თუ ლალი ჩააბარებს გამოცდას, მაშინ სოსოც ჩააბარებს გამოცდას.

(გ) სოსო ან ლალი, ერთი მაინც, ჩააბარებს გამოცდას.

(დ) სოსო და ლალი, ორივე, ჩააბარებენ გამოცდას.

(ე) ან ლალი ვერ ჩააბარებს გამოცდას, ან სოსო.

ამოცანა 23.

გიო, დიტო, ტატო, კოკა და ვასო ერთმანეთს ჭადრაკს ეთამაშებიან. ყოველი წყვილი ერთმანეთთან მხოლოდ ერთ პარტიას თამაშობს. გიომ უკვე ოთხი პარტია ითამაშა, დიტომ – სამი, ტატომ და კოკამ – ორ-ორი, ვასომ კი – მხოლოდ ერთი.

ჩამოთვლილთაგან რომელ წყვილს **არ უთამაშია** ჯერ ერთმანეთთან?

(ა) ტატო და დიტო

(ბ) დიტო და კოკა

(გ) კოკა და ტატო

(დ) ტატო და გიო

(ე) გიო და ვასო

ამოცანა 24.

უფლისწული – მათხოვარს:

– აი, სამი დანომრილი (1, 2, 3) მონეტა. ისინი გარეგნულად მსგავსია, თუმცა მხოლოდ ერთი მათგანია ნამდვილი, დანარჩენი ორი კი ყალბია. მე ვიცი, რომელია ნამდვილი, მაგრამ არ გეტყვი, თუმცა საშუალებას მოგცემ, რომ დამისვა ერთი კითხვა, რომელზეც ჩემი გულახდილი პასუხი იქნება: „კი“, „არა“, ან „არ ვიცი“. შემდეგ რომელ მონეტასაც აირჩევ, იმას გაჩუქებ.

ჩამოთვლილთაგან რომელი კითხვა უნდა დაუსვას მათხოვარმა უფლისწულს, რომ **მიღებული სწორი პასუხის შემთხვევაში ზუსტად დაადგინოს, რომელია ნამდვილი მონეტა** (უფლისწულს რიცხვების შეკრება და შედარება უშეცდომოდ შეუძლია)?

(ა) ყალბ მონეტებზე დაწერილი რიცხვებიდან ერთ-ერთი უდრის მეორისა და ნამდვილ მონეტაზე დაწერილი რიცხვის ჯამს?

(ბ) თუ ყალბ მონეტებზე დაწერილი რიცხვებიდან შევარჩევ ერთ-ერთს, იქნება ეს რიცხვი ნამდვილ მონეტაზე დაწერილ რიცხვზე მეტი?

(გ) ყალბ მონეტებზე დაწერილი რიცხვებიდან ერთ-ერთი ერთით მეტია ნამდვილ მონეტაზე დაწერილ რიცხვზე?

(დ) თუ ყალბ მონეტებზე დაწერილი რიცხვებიდან შევარჩევ ერთ-ერთს, იქნება ეს რიცხვი კენტი?

(ე) ყალბ მონეტებზე დაწერილი რიცხვების ჯამი ტოლია ნამდვილ მონეტაზე დაწერილი რიცხვის?

ამოცანა 25.

ფსიქოლოგმა შეშფოთება გამოხატა მოზარდებში ძალადობის ელემენტების შემცველი ვიდეოთამაშების პოპულარულობის გამო. მისი აზრით, ასეთი თამაშები ჩამოყალიბების ასაკში მყოფ მოზარდებს უბიძგებს, რომ თავადაც ჩაიდინონ მსგავსი საქციელი. ფსიქოლოგი ასკვნის, რომ ამგვარი ვიდეოთამაშები ძალადობას იწვევს მოზარდებში და მათი გავრცელების შეზღუდვის რეკომენდაციას იძლევა.

ჩამოთვლილთაგან რომელი **გააძლიერებს** ყველაზე მეტად ფსიქოლოგის დასკვნის მართებულობას?

(ა) მოზარდებს ხშირად უჭირთ საკუთარი თავის დამკვიდრება, რაც მათში ზრდის აგრესიას და ძალადობისკენ უბიძგებს.

(ბ) ყველა ვიდეოთამაშს, ისევე როგორც ფილმს, მითითებული აქვს მომხმარებლის რეკომენდებული ასაკი.

(გ) ვიდეოთამაშების მწარმოებლები განზრახ ტვირთავენ საკუთარ ნაწარმოებებს მძაფრი შეგრძნებებით იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი მომხმარებელი მიიზიდონ, მათ შორის მოზარდებიც.

(დ) მოზარდები ხშირად ახდენენ საკუთარი თავის ასოცირებას საყვარელ პერსონაჟთან და მათ მიბაძვას ცდილობენ.

(ე) კვლევების თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც ნაკლები ძალადობაა, არ არის პოპულარული ძალადობის შემცველი ვიდეოთამაშები.

ამოცანა 26.

პარლამენტმა, რომლის ყოველი დეპუტატი ან რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელია (რესპუბლიკელია), ან – დემოკრატიული პარტიის (დემოკრატია), კენჭი უყარა ორ კანონპროექტს: „იარაღის შესახებ“ და „დაზღვევის შესახებ“.

ცნობილია შემდეგი ფაქტები:

- ზოგიერთმა რესპუბლიკელმა ხმა მისცა კანონპროექტს „იარაღის შესახებ“.
- ზოგიერთმა რესპუბლიკელმა ხმა მისცა კანონპროექტს „დაზღვევის შესახებ“.
- არცერთი რესპუბლიკელი არ იყო ისეთი, ვინც ამ ორივე კანონპროექტს მისცა ხმა.

ამ ფაქტებზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნა:

- ❖ არცერთი დეპუტატი არ იყო ისეთი, ვინც ამ ორივე კანონპროექტს მისცა ხმა.

მსჯელობა გახდება მართებული, თუ ცნობილ ფაქტებს დავამატებთ ქვემოთ მოცემულთაგან ნებისმიერს, გარდა ერთისა. რომელია ეს?

(ა) არცერთ დემოკრატს არ მიუცია ხმა კანონპროექტისათვის „იარაღის შესახებ“.

(ბ) არცერთ დემოკრატს არ მიუცია ხმა კანონპროექტისათვის „დაზღვევის შესახებ“.

(გ) არცერთი დემოკრატი არ იყო ისეთი, ვინც ამ ორივე კანონპროექტს მისცა ხმა.

(დ) ყველა, ვინც კანონპროექტს „იარაღის შესახებ“ მხარი დაუჭირა, ერთი და იმავე პარტიის წარმომადგენელია.

(ე) ყველა პარლამენტარი, რომელმაც ამ ორი კანონპროექტიდან მხოლოდ ერთს დაუჭირა მხარი, არის რესპუბლიკელი.

ამოცანა 27.

ცნობილია, რომ წვეულებისათვის ქეთი ჩაცმულობას შემდეგნაირად ირჩევს:

- როცა ის ჩექმას არ იცვამს, მაშინ ისვამს პომადას და იკეთებს ყელსაბამს.
- თუ ყელსაბამს არ იკეთებს, ის ისვამს პომადას და არ იცვამს ჩექმას.
- თუ ისვამს პომადას, ის არ იკეთებს ყელსაბამს და არც ჩექმას იცვამს.

რომელი ჩაცმულობით წავიდა ქეთი წვეულებაზე?

(ა) ჩაიცვა ჩექმა, არ წაისვა პომადა და გაიკეთა ყელსაბამი.

(ბ) არ ჩაიცვა ჩექმა, წაისვა პომადა და გაიკეთა ყელსაბამი.

(გ) ჩაიცვა ჩექმა, არ წაისვა პომადა და არ გაიკეთა ყელსაბამი.

(დ) არ ჩაიცვა ჩექმა, წაისვა პომადა და არ გაიკეთა ყელსაბამი.

(ე) ჩაიცვა ჩექმა, წაისვა პომადა და არ გაიკეთა ყელსაბამი.

ამოცანა 28.

საფინანსო კომპანია „ინვესტი“ მხოლოდ ორი – მეცხოველეობისა და მევენახეობის – მიმართულებით ახორციელებს ინვესტიციებს. მისი საქმიანობის ანალიზით ირკვევა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ფიქსირდებოდა მთლიანი ინვესტიციებიდან მეცხოველეობისათვის განკუთვნილი პროცენტული წილის ზრდის ტენდენცია მევენახეობისათვის განკუთვნილი პროცენტული წილის შემცირების ხარჯზე. ეს მოულოდნელი იყო ექსპერტებისათვის, რადგან მევენახეობა ეფექტიანი საქმიანობაა, რასაც ვერ ვიტყვით მეცხოველეობაზე.

გამოდის, რომ კომპანია ახლა უფრო ნაკლებ ინვესტიციას ახორციელებს ეფექტიან მიმართულებაში, ვიდრე ათი წლის წინათ.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის შესრულება არის საკმარისი, რომ მოცემული დასკვნა ჭეშმარიტი იყოს?

(ა) მევენახეობით დაკავებული ბევრი ის კომპანია, რომლებშიც „ინვესტი“ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინვესტიციებს დებდა, ფინანსურ პრობლემებს განიცდის და ზოგიერთმა საქმიანობაც კი შეწყვიტა.

(ბ) მევენახეობა დღეს უფრო ნაკლებად ეფექტიანი საქმიანობაა, ვიდრე ათი წლის წინათ იყო.

(გ) „ინვესტის“ მიერ ბოლო ათწლეულში განხორციელებული ინვესტიციების უდიდესი ნაწილი მეცხოველეობაზე მოდიოდა.

(დ) ბოლო ათწლეულის განმავლობაში „ინვესტის“ მიერ განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა მუდმივად მცირდებოდა.

(ე) მევენახეობა დღეს უფრო მეტად ეფექტიანი საქმიანობაა, ვიდრე მეცხოველეობა.

ამოცანები 29-32 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

მუსიკალური გადაცემა „მელომანი“ ეთერში გადის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დღეში ერთხელ. ის შედგება ორი – I და II – ბლოკისაგან. თითოეული ბლოკი მთლიანად ეთმობა ერთ-ერთს შემდეგი მიმდინარეობებიდან: **როკი, ლათინო, ჯაზი** და **კლასიკა**. ვერცერთ მიმდინარეობას გადაცემაში ერთზე მეტი ბლოკი ვერ დაეთმობა.

ცნობილია, რომ „მელომანის“ კვირის ეთერი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- **ლათინოს** სამ გადაცემაში ეთმობა დრო, სამივეგან I ბლოკში.
- თუ **ლათინოს** ეთმობა დრო ორშაბათის გადაცემაში, მაშინ მას არ დაეთმობა დრო სამშაბათის გადაცემაში.
- **ჯაზს** ორ გადაცემაში ეთმობა დრო, ორივეგან II ბლოკში, რომელიღაც ორ მომდევნო დღეს.
- **როკს** ეთმობა ერთი I და სამი II ბლოკი.
- **კლასიკას** მხოლოდ ერთ გადაცემაში ეთმობა დრო – I ბლოკში.
- პარასკევის გადაცემაში დრო არც **ჯაზს** ეთმობა და არც **ლათინოს**.

ამოცანა 29

ჩამოთვლილთაგან როგორი შეიძლება იყოს **ოთხშაბათის** გადაცემა?

(ა) I ბლოკი – როკი, II ბლოკი – ლათინო.

(ბ) I ბლოკი – ჯაზი, II ბლოკი – როკი.

(გ) I ბლოკი – ლათინო, II ბლოკი – ჯაზი.

(დ) I ბლოკი – ლათინო, II ბლოკი – კლასიკა.

(ე) I ბლოკი – კლასიკა, II ბლოკი – ლათინო.

ამოცანა 30

რომელ დღეებში გასულ გადაცემებში ეთმობა აუცილებლად დრო **როკს**?

(ა) ორშაბათს და სამშაბათს

(ბ) ორშაბათს და ოთხშაბათს

(გ) ოთხშაბათს და ხუთშაბათს

(დ) ოთხშაბათს და პარასკევს

(ე) ხუთშაბათს და პარასკევს

ამოცანა 31

რომელ დღეს გასულ გადაცემაში ეთმობა აუცილებლად დრო **ჯაზს**?

(ა) ორშაბათს

(ბ) სამშაბათს

(გ) ოთხშაბათს

(დ) ხუთშაბათს

(ე) პარასკევს

ამოცანა 32

ჩამოთვლილთაგან რომელია **აუცილებლად ჭეშმარიტი**?

(ა) ერთი გადაცემა მაინც არის ისეთი, რომელიც ეთმობა კლასიკასა და ჯაზს.

(ბ) ვერცერთი გადაცემა ვერ დაეთმობა კლასიკასაც და როკსაც.

(გ) ერთი გადაცემა მაინც არის ისეთი, რომელიც ეთმობა ჯაზსა და როკს.

(დ) ვერცერთი გადაცემა ვერ დაეთმობა ჯაზსაც და ლათინოსაც.

(ე) ერთი გადაცემა მაინც არის ისეთი, რომელიც ეთმობა კლასიკასა და ლათინოს.

ამოცანები 33-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

ყურადღებით წაიკითხეთ განსაზღვრებები!

ჰიბრიდული ანბანი შედგება ქართული ანბანის ასოებისა და ციფრებისაგან (ანუ ჰიბრიდულ ანბანშია ა, ბ, ..., ჰ ასოები და 0, 1, ..., 9 ციფრები).

სიტყვა – ჰიბრიდული ანბანის სიმბოლოების სასრული მიმდევრობა, რომელიც <u>არ იწყება ციფრით</u> და რომელიც შეიცავს <u>ორ სიმბოლოს მაინც</u>.

რეგულარული სიტყვა – სიტყვა, რომლის ჩასაწერად გამოიყენება მხოლოდ ხმოვნები (შესაძლოა, ციფრებთან ერთად) ან მხოლოდ თანხმოვნები (შესაძლოა, ციფრებთან ერთად).

ჰომოგენური სიტყვა – სიტყვა, რომლის ჩასაწერად გამოიყენება მხოლოდ ხმოვნები ან მხოლოდ თანხმოვნები.

პალინდრომი – სიტყვა, რომლის პირველი სიმბოლო ემთხვევა ბოლო სიმბოლოს, მეორე – ბოლოდან მეორეს, მესამე – ბოლოდან მესამეს და ა.შ.

ამოცანა 33

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **მცდარი**?

(ა) თუ სიტყვა პალინდრომია, ის ვერ იქნება რეგულარული.

(ბ) თუ სიტყვა ჰომოგენურია, ის აუცილებლად იქნება რეგულარულიც.

(გ) თუ სიტყვა რეგულარულია, ის შეიძლება იყოს ჰომოგენური.

(დ) თუ სიტყვა პალინდრომია, ის შეიძლება არ იყოს ჰომოგენური.

(ე) არსებობს სიტყვა, რომელიც არც რეგულარულია, არც ჰომოგენურია და არც – პალინდრომი.

ამოცანა 34

სიტყვების **ჯამი** ვუწოდოთ ამ სიტყვების გადაბმით მიღებულ ერთ სიტყვას. გადაბმა ნიშნავს, რომ სიტყვების მიმდევრობა არ იცვლება და წინა სიტყვის ბოლო სიმბოლო დგას შემდგომი სიტყვის პირველი სიმბოლოს უშუალოდ წინ.

მაგალითი: „**აუ73ნი**“ და „**დ7ნ**“ სიტყვების ჯამი არის „**აუ73ნიდ7ნ**“.

ჩამოთვლილთაგან რომელია **აუცილებლად ჭეშმარიტი**?

(ა) რეგულარული სიტყვების ჯამი რეგულარული სიტყვაა.

(ბ) ჰომოგენური სიტყვების ჯამი ჰომოგენური სიტყვაა.

(გ) პალინდრომების ჯამი პალინდრომია.

(დ) ჰომოგენური სიტყვისა და რეგულარული სიტყვის ჯამი რეგულარული სიტყვაა.

(ე) პალინდრომის თავის თავთან ჯამი პალინდრომია.

ამოცანა 35

რაიმე სიტყვის **ნაწილი** ვუწოდოთ მოცემული სიტყვიდან ამოჭრილ <u>ორი ან მეტი რაოდენობის სიმბოლოთა მიმდევრობას</u>. სხვანაირად, სიტყვის ნაწილი არის მისი რომელიმე ორი სიმბოლო, ამ სიმბოლოებს შორის იმავე მიმდევრობით მოთავსებულ ყველა სიმბოლოსთან ერთად.

მაგალითი: „**73ნი**“ არის „**აუ73ნიდ7ნ**“-ის ნაწილი.

ჩამოთვლილთაგან რომელი **ვერ იქნება** ჭეშმარიტი?

(ა) სიტყვის რაიმე ნაწილი შეიძლება არ იყოს სიტყვა.

(ბ) ჰომოგენური სიტყვის რაიმე ნაწილი შეიძლება არ იყოს ჰომოგენური სიტყვა.

(გ) რეგულარული სიტყვის რაიმე ნაწილი შეიძლება არ იყოს რეგულარული სიტყვა.

(დ) პალინდრომის რაიმე ნაწილი შეიძლება არ იყოს პალინდრომი.

(ე) პალინდრომის რაიმე ნაწილი შეიძლება არ იყოს ჰომოგენური სიტყვა.

რაოდენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

ამოცანა 36.

შევადგინოთ რიცხვთა მიმდევრობა შემდეგი წესით: პირველად ჩავწეროთ რაიმე **ათნიშნა** ნატურალური რიცხვი, მეორედ ჩავწეროთ პირველი რიცხვის ციფრთა ჯამი, მესამედ – მეორე რიცხვის ციფრთა ჯამი და გავაგრძელოთ ასე მანამდე, სანამ ერთნიშნა რიცხვს მივიღებთ.

მაქსიმუმ **<u>რამდენი</u>** რიცხვი შეიძლება მივიღოთ ამ მიმდევრობაში?

(ა) 2 (ბ) 3 (გ) 4 (დ) 5 (ე) 6

ამოცანა 37.

ვთქვათ, **ი** და **ა** ერთმანეთისაგან **<u>განსხვავებულ არანულოვან</u>** ციფრებს აღნიშნავს. რისი ტოლი იქნება **ი + ა,** თუ ცნობილია, რომ სამართლიანია ტოლობა: $\text{ა}^{\text{ი}} = \text{ი}^{\text{ა}}$.

(ა) 5 (ბ) 6 (გ) 8 (დ) 10 (ე) 12

ამოცანა 38.

შეხვედრის მონაწილეებს შეადგენს: 11 მამაკაცი, 12 მათემატიკოსი და 13 ქართველი. ამასთან, შესრულებულია პირობები:

- ყველა მამაკაცი მათემატიკოსი არის ქართველი.
- თუ მათემატიკოსი ქართველია, მაშინ ის მამაკაცია.
- თუ მამაკაცი ქართველია, მაშინ ის მათემატიკოსია.

სულ რამდენი მონაწილეა შეხვედრაზე, თუ ცნობილია, რომ ქართველთაგან მხოლოდ 8 არის ქალი?

(ა) 24 (ბ) 25 (გ) 26 (დ) 27 (ე) 28

ამოცანა 39.



საციგურაო ტრასა ნახევარწრეწირის ფორმის სამი უბნისაგან შედგება, რომელთა ყველა ბოლო ერთ წრფეზე მდებარეობს (იხ. ნახაზი). უდიდესი უბნის სიგრძე 5-ჯერ მეტია უმცირესი უბნის სიგრძეზე. მთლიანი ტრასის სიგრძე 100 მ-ია.

რამდენი მეტრია ტრასის საშუალო ზომის უბნის სიგრძე?

(ა) 30 (ბ) 40 (გ) 50 (დ) 60 (ე) 70

ამოცანა 40.

ერთ-ერთი თვის დღეების შესახებ მოცემულია ორი პირობა:

I. ამ თვეში სამი კვირადღე ლუწი რიცხვია.

II. ამ თვეში ორი კვირადღე კენტი რიცხვია.

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა დღე იყო ამ თვის 7 რიცხვი,

(ა) საკმარისია **I პირობა**, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.

(ბ) საკმარისია **II პირობა**, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.

(გ) საკმარისია **I და II პირობა ერთად**, მაგრამ **ცალ-ცალკე არცერთი** არ არის საკმარისი.

(დ) საკმარისია **თითოეული** პირობა **ცალ-ცალკე**.

(ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, **საჭიროა დამატებითი პირობები**.

ამოცანა 41.



დიაგრამაზე მოცემულია კომპიუტერის მყარი დისკის შევსებულ და თავისუფალ ნაწილთა მოცულობების პროცენტული განაწილება. ამასთან, შევსებულ ნაწილს შეესაბამება მუქი ფერის სექტორი, რომლის ცენტრალური კუთხე 60^0-ის ტოლია, თავისუფალ ნაწილს კი – თეთრი ფერის სექტორი.

მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ კომპიუტერის მყარი დისკის შევსებული ნაწილი გაიზრდება ---**I**--------- -ით, მაშინ თავისუფალი ნაწილი შემცირდება --**II**------- -ით.“

ფრაგმენტთა შემდეგი ორი სვეტიდან:

I სვეტი		**II სვეტი**	
A.	20%	*K.*	20%
B.	100%	*L.*	60%
		M.	80%

აარჩიეთ თითო ფრაგმენტი და ჩასვით ისინი ზემოთ მოცემული წინადადების შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

(ა) $A \to K$ (ბ) $A \to L$ (გ) $A \to M$ (დ) $B \to K$ (ე) $B \to M$

ამოცანა 42.

ოთხ – A, B, C და D – აუდიტორიაში ერთად 101 სტუდენტია. ცნობილია, რომ ყველაზე მეტი სტუდენტი A აუდიტორიაშია.

მოცემულია ოთხი პირობა:

I. B აუდიტორიაში სტუდენტთა რაოდენობა A და C აუდიტორიებში სტუდენტთა რაოდენობების საშუალო არითმეტიკულია.
II. ყველა აუდიტორიაში სტუდენტების სხვადასხვა რაოდენობაა.
III. არც ერთ აუდიტორიაში არ არის 17 სტუდენტზე ნაკლები.
IV. B და C აუდიტორიებში ერთად 55 სტუდენტია.

ამ პირობათაგან რომელი ორის ცოდნაა საკმარისი იმის დასადგენად, თუ რამდენი სტუდენტია A აუდიტორიაში და რამდენი – D აუდიტორიაში?

(ა) I და III (ბ) I და IV (გ) II და III (დ) II და IV (ე) III და IV